ქ.ქუთაისის ქალებს.

დებო და ამხანაგებო!

ქალთა უფლების მტერნი ათასნაირი ხრიკებით ჩვენი საერთო ძალათა დაქსაქსვას ლამობენ. მათ მხარს აძლევს ჩვენი სქესის შეუგნებელი ნაწილი. ასეთი ჩუმი და ცხადი მტრობა ქართველი ქალის პირველ ნაბიჯის საწინააღმდეგოდ სწორუფლებიანობის გზაზე თუ ერთი მხრით გვამხნევებს მით, რომ ეს მოასწავებს მათ შიშს ჩვენს მომავალ სიძლიერისადმი.

მათმა უკმაყოფილებამ არა თუ არ უნდა დაგვაფრთხოს ჩვენ, წინააღმდეგ კიდევ უფრო უნდა გაგვამხნეოს და მტკიცე რწმენით აღგვავსოს.

ქალთა უფლებრივი საკითხი, იმდენათ კეთილშობილია, რომ მისთვის ღირს თავის გაწირვა.

ან ეხლა ან არასოდეს დედაკაცის ადამიანური პიროვნების აღდგენა! არ შეიძლება, რომ კაცობრიობის დედა და კერძოთ ქართველი ერისა მონა იყოს! არ შეიძება იმ ქვეყანას თავისუფალი ქვეყანა დაერქვას სახელად , სადაც დედრობითი სქესი ნივთია და არა პიროვნება, სადაც მას უცქერიან ისე, როგორც საშვალებას და არა ისე, როგორც თვითმიზანს.

ძირს ქალთა უფლების მტერნი!

ქართველი ქალის ძლიერი სული კვლავ იღვიძებს! ქართველი ქალის მრავალ წლობით ჩაწყვეტილი ხმა დღეს მოისმა! ეს ხმა უნდა სჭექდეს ჩვენს სამშობლოში! ეს ხმა უნდა მოისმინოს თავისუფალმა საქართველომ, რომ იცნოს თავისი ასულნი ღირსეულ სწორუფლებიან მოქალაქეთ!

ვისაც სურს არ იყოს საქართველო დამონებული, დაჭირიანებული და გადაგვარებული, ვისაც სურს არ იყოს არც სქესთა და არც კლასთა ბატონყმობა, და დაარსდეს რუსეთის სახელმწიფოში დემოკრატიული რესპუბლიკა ერისა და პიროვნებათა განმათავისუფლებელი ჩაეწერეთ ქუთაისის ქალთა დემოკრატიულ პოლიტიკურ წევრებათ, რომელიც მართავს ყოველკვირაობით კრებას ქალაქის სამკითხველოში.

არავითარი გამოყოფა არ უნდა მოხდეს დღეს ქალებში და ამ გზას ადგია არსებული ქალთა კლუბი, რომლის წევრებათ ითვლებიან როგორც მუშა, ისე ოჯახის ქალები, როგორც პარტიული, ისე არა პარტიული ქალები, მხოლოთ ქალთა პოლიტიკური კლუბი იცავს საზოგადოთ ქალთა ინტერესს და ჩვენთან ..... გსურთ თავისუფალ სამშობლოში ცხოვრობდეს თავისუფალი მოქალაქე ქალ-ვაჟნი.

1917 წელი, #4